

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №489

2011 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1 . „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე8 მუხლის მე2 პუნქტისა და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასური, მისი განაკვეთი და გადახდის წესი“.

მუხლი 2 . დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ნ. გილაური

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასური, მისი განაკვეთი და გადახდის წესი

მუხლი 1. საფასური და მისი განაკვეთი

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის (შემდგომში – 112) მომსახურების საფასურის (შემდგომში – საფასური) გადამხდელები არიან ფიქსირებული გეოგრაფიული ან არაგეოგრაფიული ზონის და მობილური სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტები (შემდგომში – აბონენტი).

2. საფასური (დღის ჩათვლით) შეადგენს:

ა) ფიქსირებული გეოგრაფიული და არაგეოგრაფიული ზონის სააბონენტო ნომერზე ყოველ კალენდარულ თვეში, მიუხედავად აბონენტად გახდომის რიცხვისა:

ა.ა) ფიზიკური პირისთვის – 0.20 ლარს;

ა.ბ) იურიდიული პირისთვის, ორგანიზაციისთვის, დაწესებულებისთვის – 0.50 ლარს;

ბ) მობილური სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტებისთვის სააბონენტო ნომერზე ყოველ კალენდარულ თვეში, მიუხედავად აბონენტად გახდომის რიცხვისა:

ბ.ა) ფიზიკური პირისთვის – 0.20 ლარს;

ბ.ბ) იურიდიული პირისთვის, ორგანიზაციისთვის, დაწესებულებისთვის – 0.50 ლარს.

3. ფიქსირებული გეოგრაფიული და არაგეოგრაფიული ზონის სააბონენტო ნომერზე საფასური გადაიხდება:

ა) სააბონენტო ნომერზე, რომელზეც ხდება სააბონენტო გადასახდელის დარიცხვა და კალენდარული თვის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ორმხრივად ჩართული;

ბ) სააბონენტო ნომერზე, რომელზეც არ ხდება სააბონენტო გადასახდელის დარიცხვა და კალენდარული თვის განმავლობაში მოხდა ფასიანი მომსახურების შეძენა ან ფასიანი მომსახურებით სარგებლობა;

გ) სატელეკომუნიკაციო მომსახურების პაკეტის შეძენისას ან სარგებლობისას, თუ ამ პაკეტით მიწოდებული სააბონენტო ნომრის მეშვეობით კალენდარული თვის განმავლობაში მოხდა ფასიანი მომსახურების შეძენა ან ფასიანი მომსახურებით სარგებლობა.

4. ამ მუხლის მე2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში საფასური გადაიხდება თითოეულ სააბონენტო ნომერზე, რომელზეც კალენდარული თვის განმავლობაში ჯამში მოხდა 5 ლარზე მეტი ღირებულების მომსახურების შეძენა ან მომსახურებით სარგებლობა.

5. საფასური არ გადაიხდება სააბონენტო ნომერზე, რომელიც გამოიყენება საკონტროლოსალარო აპარატებში.

6. სააბონენტო ნომრების პორტირების შემთხვევაში საფასურის დარიცხვა ხდება ცალცალკე პორტირებამდე და პორტირების შემდგომ პერიოდის მიხედვით.

მუხლი 2. საფასურის გადახდის/ამოღების წესი

1. საფასურის ამოღებას, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით, უზრუნველყოფს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი (შემდგომში – მომსახურების მიმწოდებელი).

2. საფასური არ აისახება მომსახურების მიმწოდებლის ერთობლივ შემოსავალში. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია საფასური ყოველთვიურად განცალკევებულად ასახოს მის მიერ აბონენტისთვის გაწეული მომსახურების ანგარიშში.

3. სააბონენტო ნომერზე საფასურის დარიცხვა ხდება ყოველი კალენდარული თვის მიხედვით, ხოლო საფასურის გადახდა/ამოღება ხდება სააბონენტო გადასახდელთან ან ელექტრონული საკომუნიკაციო



მომსახურების ღირებულებასთან ერთად. აბონენტის მიერ მომსახურების მიმწოდებლისთვის გადახდილი თანხიდან პირველ რიგში უნდა დაიფაროს საფასური.

4. თუ აბონენტს ერიცხება საფასურისა და მომსახურების მიმწოდებლისადმი დაგროვილი დავალიანება, პირველ რიგში უნდა დაიფაროს საფასური და შემდეგ – მომსახურების მიმწოდებლისადმი არსებული დავალიანება.

5. აბონენტის მიერ დაგროვილი დავალიანების თვეების მიხედვით დაფარვისას საფასურისა და მომსახურების მიმწოდებლისადმი არსებული დავალიანების დაფარვა ხდება თანმიმდევრულად, დავალიანების დარიცხვის თვეების მიხედვით. პირველ რიგში სრულად იფარება შესაბამისი თვის საფასური და შემდეგ – მომსახურების მიმწოდებლისადმი არსებული შესაბამისი თვის დავალიანება.

6. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი მომდევნო თვის არა უგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში 112-ის მიერ განსაზღვრული ფორმით და შინაარსით წარუდგინოს მას საფასურის დარიცხვასა და გადახდასთან დაკავშირებული ინფორმაცია სააბონენტო ნომრების მიხედვით.

7. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი მომდევნო თვის არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა იმ დროისთვის გადახდილი/ამოღებული საფასური სრულად ჩარიცხოს 112-ის მიერ წინასწარ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე.

8. მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი მოთხოვნიდან არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა 112-ს წარუდგინოს საფასურის ამოღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია.

9. მომსახურების მიმწოდებლის მიერ ამ დადგენილებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

10. მომსახურების მიმწოდებლის მიერ ამ დადგენილებით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა წარმოადგენს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

მუხლი 3. საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება

1. ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით დადგენილი საფასურის გადახდისაგან თავისუფლებიდან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების მიმწოდებელთა წვდომა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ და მომსახურების მიმწოდებლებს პერიოდულად მიაწოდოს ინფორმაცია ერთიან ბაზაში სოციალურად დაუცველი ოჯახების/პირების დამატების ან სტატუსის გაუქმების შესახებ.

3. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ პირებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლება წარმოეშობათ ან უუქმდებათ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის ან რეგისტრაციის გაუქმების თვის მომდევნო თვიდან.

4. თუ აბონენტის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზის“ მიხედვით, აბონენტმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობისათვის მომსახურების მიმწოდებელს უნდა წარუდგინოს იდენტიფიცირებისათვის აუცილებელი ინფორმაცია/დოკუმენტები.

მუხლი 4. ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი

1. (ამოღებულია – 13.05.2014, №345) .

2. (ამოღებულია – 13.05.2014, №345) .

3. (ამოღებულია – 13.05.2014, №345) .

3¹. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული სამართალდარღვევების შემთხვევებში, ჩამორთმევას დაქვემდებარებულ მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა 112-ის სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების მიზნით, 112-ის მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) შეადგენს:

ა) ევაკუატორის ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალების თავისი სვლით გადაყვანი პირის გამოძახების საფასური - 30 ლარი;

ბ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით (გარდა ფიქსირებული პლატფორმისა და ობობის ტიპის ამწის მქონე ევაკუატორისა) გადაადგილების საფასური: თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში - 3 ლარი ყოველ კილომეტრზე, საქართველოს სხვა ტერიტორიაზე - 1.50 ლარი ყოველ კილომეტრზე;

გ) ფიქსირებული პლატფორმისა და ობობის ტიპის ამწის მქონე ევაკუატორით მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების საფასური: თვითმმართველი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში - 4 ლარი ყოველ კილომეტრზე, საქართველოს სხვა ტერიტორიაზე - 3 ლარი ყოველ კილომეტრზე;

დ) თვითმმართველი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მექანიკური სატრანსპორტო საშუალების თავისი სვლით გადაადგილების საფასური - 2 ლარი ყოველ კილომეტრზე.



3². დაინტერესებული პირის მიერ კერძო გამოძახების საფუძველზე, მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით ან მექანიკური სატრანსპორტო საშუალების თავისი სვლით გადაადგილების მიზნით, 112-ის მომსახურების საფასური (დღგ-ის ჩათვლით) შეადგენს:

ა) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორის ან თავისი სვლით გადაყვანი პირის გამოძახების საფასური - 30 ლარი;

ბ) მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ევაკუატორით (გარდა ფიქსირებული პლატფორმისა და ობობის ტიპის ამწის მქონე ევაკუატორისა) გადაადგილების საფასური: თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში - 3 ლარი ყოველ კილომეტრზე, საქართველოს სხვა ტერიტორიაზე - 1.50 ლარი ყოველ კილომეტრზე;

გ) ფიქსირებული პლატფორმისა და ობობის ტიპის ამწის მქონე ევაკუატორით მექანიკური სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების საფასური: თვითმმართველი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში - 4 ლარი ყოველ კილომეტრზე, საქართველოს სხვა ტერიტორიაზე - 3 ლარი ყოველ კილომეტრზე;

დ) თვითმმართველი ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მექანიკური სატრანსპორტო საშუალების თავისი სვლით გადაადგილების საფასური - 2 ლარი ყოველ კილომეტრზე.

3³. 112-ის სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა დგომის (გარდა სატრანსპორტო საშუალების ნივთმტკიცების სახით დგომის შემთხვევებისა) საფასური (დღგ-ის ჩათვლით) განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ტიპი	სადგომზე შეყვანისა და 1 - 5 დღე-ღამის ჩათვლით დგომის პერიოდი	5 დღე-ღამის შემდეგ დგომის პერიოდი
	1 დღე-ღამე (24 საათი)	1 დღე-ღამე (24 საათი)
მოტოციკლი	4 ლარი	2 ლარი
მსუბუქი ავტომანქანა	8 ლარი	4 ლარი
მიკროავტობუსი	10 ლარი	5 ლარი
სატვირთო ავტომანქანა	14 ლარი	7 ლარი .

3⁴. 112-ის სპეციალურად დაცულ (საჯარიმო) სადგომზე მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ნივთმტკიცების სახით დგომის საფასური (დღგ-ის ჩათვლით) განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების ტიპი	სადგომზე შეყვანისა და 1-5 დღე-ღამის ჩათვლით დგომის პერიოდი	5 დღე-ღამის შემდეგ დგომის პერიოდი
	1 დღე-ღამე (24 საათი)	1 დღე-ღამე (24 საათი)
მოტოციკლი	4 ლარი	1 ლარი
მსუბუქი ავტომანქანა	8 ლარი	1 ლარი
მიკროავტობუსი	10 ლარი	1 ლარი
სატვირთო ავტომანქანა	14 ლარი	1 ლარი.

3⁵. 112 უფლებამოსილია კორპორაციული მომხმარებლებისთვის ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვროს ამ მუხლის 3² პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების საფასურისგან განსხვავებული საფასური.

3⁶. ამ მუხლის 3¹ და 3² პუნქტების მიზნებისთვის, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა ევაკუატორით ან თავისი სვლით გადაადგილების მანძილი განისაზღვრება ევაკუატორით ან თავისი სვლით გადასადგილებელი მექანიკური სატრანსპორტო საშუალების საწყისი ადგილმდებარეობიდან მისი ტრანსპორტირების საბოლოო წერტილამდე.

4. ამ მუხლით გათვალისწინებული მომსახურების საფასურის დარიცხვა/ამოღება ხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მასზე არ ვრცელდება ამ წესის პირველი - მე-3 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

5. 112 უფლებამოსილია ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე გასწიოს სხვა სახის მომსახურებაც. ასეთი მომსახურების საფასურის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულებით.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის დადგენილება №336 – ვებგვერდი, 16.12.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის დადგენილება №184 – ვებგვერდი, 21 .02.2014წ.



საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მაისის დადგენილება №345 – ვებგვერდი, 13.05.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2014 წლის 17 ივნისის დადგენილება №402 – ვებგვერდი, 19.06.2014წ.
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 27 ნოემბრის დადგენილება №596 - ვებგვერდი, 02.12.2015წ.

